

“ 19 ” “ 12 ” 2018 წ.

ქ. თბილისი

„აყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილების, „2018 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის №99 ბრძანებისა და „2018 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 14 დეკემბრის N195 ბრძანების საფუძველზე,

ერთი მხრივ, სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნინო გაჩეჩილაძის სახით (შემდგომში - გრანტის გამცემი), მისამართი: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1, საიდენტიფიკაციო კოდი 204578064, სახელმწიფო ხაზინა, ანგ. №200122900,

მეორე მხრივ, კონსორციუმში შედგენილი შემდეგი წევრებით - სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი (შემდგომში ცალკე წოდებული, როგორც წამყვანი ორგანიზაცია) წარმოდგენილი მისი დირექტორის გურამ ბოკუჩავას სახით, საიდენტიფიკაციო კოდი: 249250821; სსიპ მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი (შემდგომში ცალკე წოდებული, როგორც თანამონაწილე ორგანიზაცია) წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან ბიბილაშვილის სახით, საიდენტიფიკაციო კოდი: 202466303, სსიპ ინსტიტუტი ოპტიკა (შემდგომში - თანამონაწილე ორგანიზაცია) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით კაკულიას სახით, საიდენტიფიკაციო კოდი: 211367279; შპს დელტა ინტერნეიშენალ (შემდგომში მეწარმე იურიდიული პირი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ოთარ ჩიტეიშვილის სახით, საიდენტიფიკაციო კოდი: 401960614 გამარჯვებული პროექტის - პროექტის ხელმძღვანელი: ნათია ჯალაღონია (პირადი N58001009284), გურამ ბოკუჩავა (პირადი N62001006284) პროექტის კოორდინატორი და პროექტის ძირითადი პერსონალი: თინათინ კუჭუხიძე (პირადი N62001014202), ლეილა კალატოზიშვილი (პირადი N01017032625), ზურაბ ყუშიტაშვილი (პირადი N35001018858), ამირან ბიბილაშვილი (პირადი N01007005441), ტატიანა სახაროვა (პირადი N1001016652), სოსო დოლიძე (პირადი N01026009952), ნიკოლოზი კერატიშვილი (პირადი N01020011121), დავით შალამბერიძე (პირადი N01001000369), ბადრი ხვიტია (პირადი N01024049947), ზურაბ ფაჩულია (პირადი N62001000735) (შემდგომში წამყვანი ორგანიზაცია, თანამონაწილე ორგანიზაცია, პროექტის ხელმძღვანელი და პროექტის ძირითადი პერსონალი ერთად წოდებულნი როგორც გრანტის მიმღები), კონსორციუმის წევრი მეწარმე იურიდიული პირი არ არის გრანტის მიმღები.

შემდგომში ცალ-ცალკე წოდებული როგორც მხარე და ერთად წოდებულნი, როგორც მხარეები, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

მოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის კონკურსის მარჯვებული პროექტის „სუპერკონდენსატორები ნახშირბადის ნანოსტრუქტურებით დოპირებული ოლიმერული ელექტროდების ბაზაზე“ – (შემდგომში პროექტი) საგრანტო დაფინანსება და გრანტის მიმღების მიერ პროექტითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. პროექტის სრული დაფინანსება შეადგენს 1 260 000 ლარს, საიდანაც გრანტის მიმღებ წამყვანი ორგანიზაციისათვის განკუთვნილი თანხა შეადგენს - 420 000 ლარს, თანამონაწილე ორგანიზაციების - სსიპ ინსტიტუტი „ოპტიკა“-სათვის განკუთვნილი თანხა შეადგენს - 420 000 ლარს, მიკრო და ნანოელექტრონიკისათვის განკუთვნილი თანხა შეადგენს - 420 000 ლარს, აღნიშნული თანხების ჩარიცხვა განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ საბანკო/სახაზინო ანგარიშებზე, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართ N2-ს.

2.2 გრანტის გამცემი ვალდებულია:

- ა) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;
- ბ) გრანტის თანხები ავანსის სახით გადარიცხოს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართ N2 გრანტის გამცემის მიერ პირველი ტრანში გადარიცხება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ამასთან გრანტის გამცემის მიერ ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანშების გადარიცხვა არ მოხდება შესაბამისი პერიოდისათვის გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებამდე. მეორე და შემდგომი ტრანშების გადარიცხვა მოხდება წინა ტრანშით გათვალისწინებული შედეგების შესრულების შესახებ ფონდში წარდგენილი ანგარიშების განხილვის საფუძველზე.

2.3 გრანტის გამცემი სარგებლობს უფლებით, ნებისმიერ დროს მოითხოვოს პირველადი ფინანსური დოკუმენტაციის ასლი.

2.4 გრანტის მიმღები ორგანიზაცია ვალდებულია:

- ა) პროექტისათვის განკუთვნილი ფინანსების ხარჯვა განახორციელოს საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის (პროექტის ბიუჯეტი) შესაბამისად მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით;
- ბ) უზრუნველყოს პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალი პროექტის შესასრულებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ნორმალური სამუშაო პირობებით;
- გ) ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისაგან განცალკევებით აწარმოოს გრანტის ბუღალტრული აღრიცხვა;
- დ) საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად და დროულად ასახოს ფონდის მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში;
- ე) შესაბამისი ტრანშის მიღების შემდგომ, უზრუნველყოს ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსების გადარიცხვა გრანტის მიმღები ფიზიკური პირებისათვის;
- ვ) უზრუნველყოს პროექტის ძირითადი და დამხმარე პერსონალის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის #220 ბრძანებით დამტკიცებული ნორმების შესაბამისად.

ა) უზრუნველყოს გრანტის სახსრებით გამოცემული თითოეული ნაბეჭდი ერთეულისთვის საერთაშორისო სტანდარტული ნომრების (ISBN, ISSN) მინიჭება და გრანტის გამცემისთვის ორი ეგზემპლარის გადაცემა;

თ) გრანტის სახსრებით შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განათავსოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მიმოუთითოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ან პროექტის სახელწოდება.]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number or Project Title]“.

2.5 პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია, კოორდინაცია გაუწიოს ძირითადი პერსონალის (მკვლევართა ჯგუფის) მუშაობას, პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

2.6 პროექტის კოორდინატორი ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში და პასუხისმგებელია პროექტის მენეჯმენტსა და საორგანიზაციო საქმეებზე;

2.7 პროექტის ძირითადი პერსონალი ვალდებულია:

ა) გრანტის გამცემს მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს პროექტის განხორციელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გრანტის გამცემი პასუხისმგებლობას იხსნის გაუთვალისწინებელი შემთხვევებისაგან;

ბ) შეასრულოს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ამოცანები;

გ) პროექტის გეგმა-გრაფიკის შედეგების ველში მითითებული რეიტინგული სტატიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში, ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, საკონფერენციო კრებულები და წიგნები, რომლებიც ინდექსირებულია შემდეგ რეიტინგებში: Scimago Journal Ranking, Scopus, Web of Science, ERIH plus, ასევე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გამოცემული საერთაშორისო რეფერირებადი და ციტირებადი ჟურნალები: Transactions of A. Razmadze Mathematical Institute (ა. რაზმაძის მათემატიკური ინსტიტუტის ნაშრომები) და Annals of Agrarian Science (აგრარულ მეცნიერებათა მემატიანე).

დ) გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით შექმნას ინტელექტუალური საკუთრება: პატენტი/სავტორო უფლებით/სასაქონლო ნიშნით დაცული ინტელექტუალური საკუთრება.

ე) გრანტის სახსრები გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისა და საქმიანობისათვის.

ვ) ხელშეკრულების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სტატიები გამოაქვეყნოს/მიიღოს დასტური გამოქვეყნებაზე საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალებში.

ზ) საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (ორიგინალური სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი ა.შ.) მიუთითოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი, პროექტის სახელწოდება.]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number, Project Title]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული

ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ სტატიაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.

თ) პროექტის განხორციელების შედეგად, პატენტის მიღების შემთხვევაში ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით გათვალისწინებული ფონდის განსაკუთრებული უფლებები დააფიქსიროს შესაბამის საპატენტო დოკუმენტაციაში. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას.

ი) თუ გამოგონებას დააპატენტებს გრანტის მიმღები, ფონდს წარმოეშობა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1 პუნქტის შესაბამისად.

2.8 ფინანსურ და პროგრამული ანგარიშებისა და მათზე თანდართული დოკუმენტაციის სისწორესა და სინამდვილეზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები;

2.9 პროექტის განხორციელებისას ფინანსური ოპერაციების წარმოებასა და შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განხორციელებაზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები.

2.10 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდგომ, გრანტის მიმღები ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად დააბრუნოს გრანტის ფარგლებში აუთვისებული ფინანსური რესურსი.

მუხლი 3. თანადაფინანსება

3.1 გრანტის გამცემი თანადაფინანსებლის ფულადი შენატანის ადმინისტრირებას ახდენს ფონდის მიერ გაცემულ დაფინანსებასთან ერთად.

3.2 თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, ფონდი 1, 2, 3 და 4 (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ტრანშებით განსაზღვრულ თანხებს გადარიცხავს შესაბამისი პერიოდისთვის გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის საგრანტო ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენლობის შემთხვევაში პროექტი შეჩერდება.

მუხლი 4. ძირითადი პერსონალის ცვლილება

4.1 არ შეიძლება პროექტის ხელმძღვანელის შეცვლა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა;

4.2 პროექტის ძირითადი პერსონალის წევრის შეცვლის მიზეზი შეიძლება იყოს:

- ა) ძირითადი პერსონალის წევრის წერილობითი განცხადება - უარი პროექტში მონაწილეობაზე;
- ბ) ქვეყნიდან გასვლა იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი პერსონალის წევრის გასვლა ქვეყნიდან უარყოფითად აისახება პროექტის მიმდინარეობაზე;
- გ) ძირითადი პერსონალის წევრის გარდაცვალება.

4.3 პროექტის ძირითადი პერსონალის წევრის ცვლილება უნდა განხორციელდეს იმავე ან უფრო მაღალი კომპეტენციის და გამოცდილების მქონე პირით (მისი თანხმობა პროექტში მონაწილეობაზე - სავალდებულოა) საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების გზით.

4.4 პროექტის დამხმარე პერსონალის ცვლილება არ საჭიროებს ფონდთან შეთანხმებას.

მუხლი 5. მონიტორინგი

გრანტის მიმღებმა ყოველი ერთწლიანი პერიოდის დასრულების შემდეგ 20 დღის ვადაში გრანტის მფლობელთან უნდა წარმოადგინოს გრანტის გამცემის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად ანგარიში, რომელიც შედგება ფინანსური და პროგრამული ნაწილისაგან.

5.2 ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის გამცემის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბიუჯეტთან.

5.3 პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი პროექტის სამეცნიერო მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.

5.4 ფონდს არ აქვს ვალდებულება, მონიტორინგი განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკით.

5.5 გრანტის მიმღები ვალდებულია, ფონდთან ანგარიშგება აწარმოოს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმების მიხედვით.

5.6 გრანტის გამცემის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის (მუხლის) ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვითი კატეგორიას. ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის შიგნით, ქვეკატეგორიებს შორის თანხების გადანაწილების ცვლილება არ საჭიროებს ფონდთან შეთანხმებას, თუ აღნიშნული ცვლილება არ ითვალისწინებს ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის მთლიანი ოდენობის გაზრდას, არ გულისხმობს ახალი ქვეკატეგორიის დამატებას და არ ეხება პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურებას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) გადახარჯვად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით. იმ შემთხვევაში, თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით ჩასარიცხი თანხა აღემატება ან ტოლია სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებულ რესურსს, გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს;

დ) ნაშთად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლოა გაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდებში.

5.7 ფინანსური მონიტორინგისას წარმოდგენილ ანგარიშებში ხარვეზის აღმოჩენისას, გრანტის გამცემი უფლებამოსილია, განსაზღვროს ხარვეზის გამოსწორების ვადა.

5.8 ფონდი უფლებამოსილია პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, ასევე პროექტის დახურვიდან 5 წლის განმავლობაში განახორციელოს ორიგინალი დოკუმენტაციის შემოწმება გრანტის მიმღებ ორგანიზაციაში. ასეთ შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებულია, ფონდის წარმომადგენელი უზრუნველყოს შესაბამისი სამუშაო სივრცით, ნორმალური სამუშაო პირობებით და მიაწოდოს ფონდის წარმომადგენელს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

5.9 ფონდი უფლებამოსილია, მიმდინარე და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულება და ეფექტიანობა შეაფასებინოს შესაბამისი დარგის ექსპერტებს.

მუხლის 5.8 პუნქტის შესაბამისად, შემოწმების შედეგად მიღებული აქტები ფონდის მიერ გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ შემდგომში საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

11 გრანტის გამცემი არ არის უფლებამოსილი, თავად შეაფასოს დასრულებული საგრანტო პროექტის სამეცნიერო ღირებულება და არ არის პასუხისმგებელი საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგზე.

5.12 გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე ფონდი ადგენს განხილვის აქტს, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდში ავანსის სახით გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბიუჯეტთან, ასევე ანგარიშში ასახული ამოცანების შედეგების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შედეგებთან.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა, შეჩერება და დასრულება

6.1 პროექტის ამოცანების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის, შედეგების მიღების ამსახველი მასალის არ წარმოდგენის, გრანტის სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშების გრანტის გამცემისათვის წარმოდგენილობის, ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის, ყალბი ინფორმაციის მოწოდების, შესაბამისი წამყვანი ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში და ფორს-მაჟორული გარემოების გამო, გრანტის გამცემი უფლებამოსილია შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს პროექტის დაფინანსება.

6.2 გრანტის მიმღების მიერ ანგარიშების (ფინანსური ან/და პროგრამული) დროულად წარმოდგენილობის შემთხვევაში, გრანტის გამცემს შეუძლია წერილობით მისცეს მას დამატებითი ვადა ანგარიშის წარმოსადგენად. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ ვადაში ანგარიში კვლავ არ იქნა წარმოდგენილი, გრანტის გამცემი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეწყვეტის შესახებ.

6.3 გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, არსებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით, გრანტის მიმღებს განესაზღვრება ვადა დადგენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის. ხარვეზის გამოსწორების პერიოდში პროექტი ითვლება შეჩერებულად.

6.4 ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პროექტის განხორციელების ბოლო საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ, გრანტის მიმღებმა თანხების ხარჯვა უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ აქტივობების დასაფინანსებლად, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნული ვალდებულების შესრულებასთან.

6.5 ფონდის მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია, შეწყვიტოს საგრანტო დაფინანსება.

6.6 გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა, გრანტის მიმღები ვალდებულია, შესაბამის სახაზინო ანგარიშზე დააბრუნოს არამიზნობრივად დახარჯული თანხა, აუთვისებელი ნაშთი და შეწყვეტამდე მიმდინარე საანგარიშო პერიოდში (ფონდის მიერ ბოლოს გადარიცხული ტრანშის ფარგლებში) გაცემული გრანტის მიმღებთა საგრანტო დაფინანსება.

6.7 გრანტის შეჩერების დროს, გრანტის გამცემის გადაწყვეტილებაში მიეთითება ის ვადები და პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელია გრანტის განახლება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისი შეწყვეტა.

6.8 პროექტის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების პროექტის ხელმძღვანელ(ებ)ის ან/და წამყვანი ორგანიზაციისათვის გაცნობისთანავე, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა სახის საქმიანობა დაუყოვნებლივ წყდება. პროექტის მონაწილე პირები არ მიიღებენ საგრანტო დაფინანსებას

პროექტის ანაზღაურებას იმ საქმიანობისათვის, რომელიც განხორციელდება აღნიშნული პროექტის ძალაში შესვლის (პროექტის ხელმძღვანელ(ებ)ის ან/და წამყვანი განიზაგისათვის გაცნობის) შემდეგ.

პროექტების დასრულების შემდგომ, გრანტის გამცემი უფლებამოსილია, განახორციელოს პროექტის ფარგლებში და გრანტის სახსრებით მიღებული ნებისმიერი ბეჭდვითი და ელექტრონული დოკუმენტაციის, აპარატურის, პროექტის შედეგების ამსახველი პროდუქციის და პროექტთან დაკავშირებული სხვა მასალების შემოწმება. გრანტის მიმღებმა პროექტის ფარგლებში შეძენილი შემოადნიშნული მასალა და აპარატურა უნდა შეინახოს და ხელმისაწვდომი გახადოს გრანტის გამცემისთვის პროექტის დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში.

6.10 პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე, პროექტის დახურვის მომენტში, წარმოდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები, წარმოდგენილ ანგარიშებზე, ფონდის მიერ შედგენილია შესაბამისი განხილვის აქტები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

მუხლი 7. გრანტის დახურვა

7.1. გრანტის მიმღების მიერ გრანტის გამცემისათვის გადასაცემი ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენის შემდეგ გრანტის გამცემი იწყებს გრანტის დახურვის პროცედურას.

7.2. გრანტის დახურვისათვის აუცილებელია, რომ გრანტის გამცემის მიერ შესრულებული იყოს ყველა ავტორიზებული ტრანშის გადარიცხვა გრანტის მიმღებისთვის და გრანტის გამცემის ანგარიშზე დაბრუნებული იყოს გრანტის გამოუყენებელი სახსრები.

7.3. ხელშეკრულების ყველა მოთხოვნა ძალაში რჩება და მოქმედებს, სანამ მხარეებს შორის არ გაფორმდება პროექტის შედარების აქტი.

მუხლი 8. გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება

პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება წამყვან ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

მუხლი 9. ინტელექტუალური საკუთრების უფლება

9.1 პროექტის ფარგლებში შექმნილი გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნის ფონდსა და გრანტის მიმღებს. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც თუ აღნიშნულ გამოგონებას დააპატენტებს გრანტის მიმღები, ფონდს წარმოეშობა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების გამოყენებიდან მიღებული მოგების პროცენტულობა განისაზღვრება შემდეგნაირად: 15% - გრანტის გამცემს და 85 % - გრანტის მიმღებს (35% გრანტის მიმღებ იურიდიულ პირს/პირებს და 50% - გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირთა ჯგუფს, მეცნიერთა ჯგუფს). აღნიშნულთან დაკავშირებით გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები დარეგულირდება პატენტის მიღების შემდგომ გასაფორმებელ ხელშეკრულებაში.

9.2 გრანტის მიმღებს ეკრძალება პროექტის ფარგლებში შექმნილ ნაწარმოებზე არსებული განსაკუთრებული უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი ფორმით გადაცემა მესამე პირისათვის ნაწარმოების შექმნიდან 5 წლის განმავლობაში გრანტის გამცემის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე (ტერმინი „ნაწარმოები“ აქ გულისხმობს წიგნს, ბროშურას, კომპიუტერულ პროგრამას, რუკას, გეგმას, ესკიზს, ილუსტრაციას, თარგმანს, კრებულს, ენციკლოპედიას, ანთოლოგიას, მონაცემთა ბაზას და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, შეცვლა ან გაუქმება შეიძლება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო და არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და შესაბამისად, არ გამოიწვევს ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობას;

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს-მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, აღნიშნული გარემოების დადგომიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით უნდა აცნობოს ხელშეკრულების მეორე მხარეს ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში მხარეები თანხმდებიან სახელშეკრულებო ურთიერთობების გაგრძელების, შეჩერების ან შეწყვეტის მიზანშეწონილობის თაობაზე რაც ფორმდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ან/და გამომდინარეობს მისგან, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მუხლი 12. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

12.2 პროექტი იწყება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და სრულდება ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

12.3 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეჩერდეს ან შეწყდეს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 13. დამატებითი პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 6 (ექვსი) ეგზემპლიარად და თითოეული განკუთვნილია თითოეული მხარისათვის.


13.2. ცვლილებები ან/და დამატებები ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების მხარეთა რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, საკმარისია მხოლოდ მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა და შესაბამისად არ საჭიროებს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე უგვიანეს 20 დღით ადრე (გარდა პროექტის განხორციელების ბოლო საანგარიშო პერიოდისა), საგრანტო ხელშეკრულების საერთო თანხის გაზრდის გარეშე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განხორციელოს ცვლილება. საგრანტო პროექტის განხორციელების ბოლო საანგარიშო პერიოდში ცვლილების შეტანა შესაძლებელია გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე. საანგარიშო წლის პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტში ცვლილებები დასაშვებია პროექტის მიმდინარე წლის საერთო ბიუჯეტის 20%-ის ფარგლებში.

გრანტის გამცემი:

ფონდის გენერალური დირექტორის
მ/შ

ნ. გაჩეჩილაძე



გრანტის მიმღები:

წამყვანი ორგანიზაცია

გ. ბოკუჩავა



თანამონაწილე ორგანიზაციები:
მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი

ა. ბიბილაშვილი



სსიპ ინსტიტუტი "ოპტიკა"

დ. კაკულია



მეწარმე იურიდიული პირი

ო. ჩიტეიშვილი



პროექტის ხელმძღვანელი


ნ. ჯალაღონია

ნ. ჯალაღონია


გ. ბოკუჩავა


პროექტის ძირითადი პერსონალი:



ო. კუჭუხიძე


ლ. კალატოშვილი



ბ. ყუშიტაშვილი



ა. ბიბილაშვილი


ტ. სახაროვა


ს. დოლიძე


ნ. კერატიშვილი


დ. შალამბერიძე


ბ. ხვითა


ბ. ფაჩულია

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

საპროექტო წინადადება

საპროექტო წინადადების საერთო მოცულობა - 15 გვერდი ცხრილების, დიაგრამების, ნახაზებისა და გამოყენებული ლიტერატურის ჩათვლით; გვერდის ველები: მინიმუმ 1სმ - მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ; მწკრივების ინტერვალი - მინიმუმ 1, შრიფტი: Sylfaen ან Times New Roman; ზომა: 10 ან 11

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება ქართულად	სუპერკონდენსატორები ნახშირბადის ნანოსტრუქტურებით დოპირებული პოლიმერული ელექტროდების ბაზაზე		
პროექტის ხანგრძლივობა (წლები)	☐ 2	☒ 3	☐ 4
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	1 260 000		
თანადაფინანსება (ლარი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	0		
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	1 260 000		
პროექტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)	ნათია ჯალაღონია		
წამყვანი ორგანიზაცია	სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი		
კონსორციუმის წევრი ორგანიზაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)			
№	იურიდიული სტატუსი	ორგანიზაციის დასახელება	
1	სსიპ	სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი (სფტი)	
2	სსიპ	მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი (მნეი)	
3	სსიპ	სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი "ოპტიკა"	
4	შპს	შპს "დელტა ინტერნეიშენალ"	

აბსტრაქტი

(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 300 სიტყვა)

პორტაბელური ელექტრონიკის, ჰიბრიდული ელექტრომობილების და ელექტრომობილების სფეროს განვითარებამ განაპირობა მზარდი მოთხოვნა მაღალი ენერგიის შენახველ მოწყობილობებზე. ენერგიის შენახვა ასევე მდგრადი, განახლებადი, ენერგოსისტემების საკვანძო კომპონენტია. დღესდღეობით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორცაა მზის ელემენტები და ქარის ტურბინები, ენერგიის გენერირება ხდება ეკოლოგიურად უსაფრთხოდ. თუმცა განახლებადი წყაროებიდან ენერგიის გამომუშავების წყვეტადი ხასიათი არ იძლევა საშუალებას ისინი გახდნენ ენერგიის პირველადი წყაროები. ენერგიის შენახვის ტექნოლოგია აკომპენსირებს ამ პრობლემას წყვეტადი ხასიათის ენერგიის შენახვით. ენერგოქსელების გარდა ენერგიის შენახვის

¹ კონსორციუმის მინიმუმ ერთი წევრი უნდა იყოს სამეწარმეო იურიდიული პირი

ტექნოლოგიას აქვს პოტენციალი სრულიად გარდაქმნას სატრანსპორტო სისტემა, რომლის ნათელი მაგალითია ელექტრომანქანები. თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილი, პორტაბელური ელექტრომოწყობილობები ძლიერ არის დამოკიდებული ენერგიის შენახვის ტექნოლოგიებზე. სფეროებისა და პროდუქტების მასშტაბები, რომელიც დამოკიდებულია ენერგიის შენახვის ტექნოლოგიებზე ნათელს ხდის თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ სფეროს განვითარება. ბოლო წლებში მკვლევარების დიდი ძალისხმევა მიმართულია ისეთი ეფექტური ენერგოშემნახველი ხელსაწყოების შექმნისა და განვითარებისკენ, როგორიცაა მაღალი ტევადობის კონდენსატორები, ბატარეები და კვების ელემენტები. დღესდღეობით ენერგიის შემნახველ მოწყობილობებში დომინირებს ბატარეები, კერძოდ ლითიუმ-იონური ბატარეა. ლითიუმ-იონური ბატარეა კვებას თითქმის ყველა პორტაბელურ ელექტრონულ მოწყობილობასა და ელექტრო მანქანას Tesla Model S-ისა და Chevy Volt-ის ჩათვლით. ბატარეები ენერგიას ინახავენ ელექტროქიმიურად. ასეთი ბატარეების დამუხტვა-განმუხტვა ნელი პროცესია და იწვევს ბატარეის ქიმიური კომპონენტების დეგრადაციას დროთა განმავლობაში. ამის შედეგად ბატარეებს გააჩნიათ დაბალი ენერგიის სიმკვრივე და მასალათა დაზიანების გამო კარგავენ ენერგიის შენახვის უნარს. მეორეს მხრივ სუპერკონდენსატორი (ულტრაკონდენსატორი) იყენებს ენერგიის შენახვის განსხვავებულ მექანიზმს. სუპერკონდენსატორში ენერგია ინახება ელექტროსტატიკურად მასალის ზედაპირზე და არ არის დაკავშირებული ქიმიურ რეაქციებთან. მათი ძირითადი უპირატესობაა ხანგრძლივი ექსპლუატაციის დრო და სწრაფი დამუხტვა-განმუხტვის უნარი. ბატარეებთან შედარებით ისინი ხასიათდებიან მაღალი დენის სიმკვრივით და გამძლეობით, ხოლო ჩვეულებრივ სხვა კონდენსატორებთან შედარებით უფრო მაღალი ტევადობით და საიმედოობით. მაღალი ტევადობის კონდენსატორებისათვის მექანიკურად და ქიმიურად მდგრადი, დაბალი ღირებულების მასალების შექმნა და განვითარება კი წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას მეცნიერებისთვის.

გრაფენის გამოჩენამ გამოიწვია სუპერკონდენსატორების არა მხოლოდ სიმძლავრის, არამედ ენერგიის სიმკვრივის მნიშვნელოვანი ზრდა. ამ მომენტამდე ქიმიურ ბატარეას გააჩნდა მაღალი ენერგია და არა სიმძლავრე, ხოლო კონდენსატორს მაღალი სიმძლავრე და არა ენერგია. ამჟამად ხდება ამ თანაფარდობების სწრაფი ტრანსფორმირება. საკვანძო დამოკიდებულებაა - ენერგია კონდენსატორზე ჯოულებში პროპორციულია ტევადობის ნახევრის (ფარადებში), გამრავლებული ძაბვის კვადრატზე:

$$E = \frac{CU^2}{2}$$

აქედან გამომდინარე კონდენსატორის ან მაღალი ტევადობა ან მაღალი ძაბვა მნიშვნელოვნად გაზრდის შენახულ ენერგიას.

1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

1.1. კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება

(პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემის/საკითხის მოკლე მიმოხილვა; დასაბუთება, თუ რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი და აქტუალური; შემოთავაზებული კვლევის მეცნიერული სიახლის აღწერა; პრობლემის ფორმულირება და სხვა. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 600)

ენერგეტიკული კრიზისი და გლობალური დათბობა არის უდიდესი გამოწვევა საზოგადოების წინაშე, რომელიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. ამისთვის საჭიროა სუფთა, ეფექტური, იაფი და მდგრადი ენერგოშემნახველი მოწყობილობების განვითარება. ენერგიის შემნახველი მოწყობილობები გამოიყენება ელექტრო მობილებში, პორტაბელურ ელექტრონიკასა და სხვ. ასეთი ხელსაწყოების მუშაობა დიდწილად არის დამოკიდებული ქიმიურ კომპოზიციასა და ელექტროდის მასალების სტრუქტურაზე. გრაფენი/პოლიმერული ჰიბრიდ ნა-ნოკომპოზიტებს ექცევა დიდი ყურადღება, როგორ ელექტროდის მასალებს ენერგიის შესანახად, ვინაიდან მათ გააჩნიათ შესანიშნავი მექანიკური, ელექტრული და ელექტროქიმიური თვისებები [1].

გრაფენის აღმოჩენის შემდეგ, რომელიც არის ნახშირბადის ერთი ატომის სისქის ფენა [2] მისი უნიკალური თვისებების გამო, ის წარმოადგენს პერსპექტიულ მასალას მრავალ სფეროში გამოსაყენებლად, როგორებიცაა: ელექტრონიკა, მექანიკა, ოპტიკა და სხვ. კერძოდ, გრაფენის ფურცლის თეორიული აქტიური ზედაპირის ფართობი არის $2630\text{მ}^2/\text{გ}$, ამიტომაც დიდია ინტერესი გამოყენებულ იქნეს ისეთი ენერგიის შემნახველ მოწყობილობებში, როგორიცაა მაღალი ტევადობის კონდენსატორები და ბატარეები [3,4].

ფართოდ გავრცელებულ გრაფენის წარმოებულებს, რომლებსაც გამოიყენებენ გრაფენი/პოლიმერის ნანოკომპოზიტების მოსამზადებლად, გააჩნიათ ძალიან ბევრი დეფექტები, რომლებიც ამცირებენ საბოლოო პროდუქტის ელექტროგამტარობას. აქედან გამომდინარე ერთერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს გრაფენის წარმოებულ ფიბრის სინთეზი გამარტივებული და იაფი მეთოდებით, სადაც დეფექტები მინიმუმამდე იქნება შემცირებული. ასევე აუცილებელია პოლიმერების დიზაინი და სინთეზი, რათა მოვამზადოთ ახალი ფუნქციური ნანოკომპოზიტები გრაფენის ფუძეზე. გრაფენი/პოლიმერის ნანოკომპოზიტების მომზადების მეთოდები მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტრუქტურა/მორფოლოგიის განსაზღვრაში. ამჟამად არსებულ მეთოდებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პოლიმერიზაცია და ფიზიკურად შერევის მეთოდები.

იმისათვის, რომ გრაფენის ფურცლები დაუკავშირდეს დენის კოლექტორს, ხშირად გამოყენებულია პოლიმერი. პოლიმერები უნდა ხასიათდებოდნენ კარგი მექანიკური სიმტკიცით, ქიმიური მდგრადობით, თერმული სტაბილურობით და დროში გამძლეობით. აღსანიშნავია, რომ გრაფენის და მისი წარმოებულების დამატება 10-15% პროცენტამდე, აუმჯობესებს პოლიმერების მექანიკურ სტაბილურობას და ელექტროგამტარობას.

დღეისათვის მაღალი ტევადობის კონდენსატორებში ფართოდ გამოყენებული გამტარი პოლიმერებია: პოლიანილინი, პოლიპიროლი, ცელულოზას ფურცლები, პოლი(3,4-ეთილენდიოქსითიოფენი), პოლი(სტიროლ-სულფონატი), პოლი(ეთილენტერაფტალატი) და სხვ. თუმცა ხანგრძლივად დამუხტვა/განმუხტვის პროცესში ადგილი აქვს პოლიმერის შეკუმშვას და გაფართოებას, რის გამოც ციკლური სტაბილურობა სუსტდება. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია პოლიმერის ინტეგრირებით სხვა მასალებთან (მაგ.: გრაფენი, ალდგენილი გრაფენის ოქსიდი, ნახშირბადის ნანომილები), უფრო მტკიცე ფუნქციური ნანოკომპოზიტების დასამზადებლად.

გრაფენი/პოლიმერის ნანოკომპოზიტების ელექტროქიმიური პროცესები დამოკიდებულია 2 კომპონენტის ურთიერთქმედებაზე და აქედან გამომდინარე მათ სტრუქტურასა და მორფოლოგიაზე. *პროექტის ერთერთი მთავარი მიზანია ახალი ელექტროდის მასალების შექმნა, რომლებსაც ექნებათ გაუმჯობესებული თვისებები დენის მაღალი სიმკვრივეზე, რისთვისაც ამ მასალებს უნდა ჰქონდეთ მაღალი ელექტროგამტარობა.*

გრაფენის და მისი წარმოებულების მიღება დაგეგმილია ინტერკალაციის მეთოდით, რომელსაც გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები (დრო, ფასი, ნაკლები რეაქტივი) სხვა ცნობილ ჰამმერსის, ჰამმერსის მოდიფიცირებული, სტეინდმეიერის და სხვ. მეთოდებთან შედარებით. ჩვენს მიერ ხაზოვანი პოლიდიმეთილსილოქსანების ბაზაზე დასინთეზირებული იქნება სასურველი სტრუქტურის და შედგენილობის პოლიმერული მატრიცები [5], რომლებიც ფუნქციური ჯგუფებით დაკავშირებული იქნება ნახშირბადის ნანოსტრუქტურებთან, რაც უკვე მოგვეცემს საშუალებას დავამზადოთ მოქნილი, ელასტიური ელექტროდის მასალები. ასევე გრაფენი/პოლიმერული ნანოკომპოზიტების მოსამზადებლად გამოყენებული იქნება ინოვაციური მიდგომა - გრანულაციის (გაფრქვევით გაშრობა) მეთოდი, რა დროსაც არაგამტარი თერმოპლასტების და ნახშირბადის ნანოსტრუქტურების სუსპენზიების (წყალში) გაფრქვევით მიიღება განსაზღვრული ზომის გრანულები, სადაც კომპონენტები ერთგვაროვნად იქნება განაწილებული. მიღებული ნანოკომპოზიტების გრანულებისაგან ცხლად დაწნეხვის მეთოდით დამზადდება პოლიმერული ფირფიტები. ამ მიდგომით შესაძლებელია, როგორც სინთეზის პროცესის გამარტივება, ასევე რამდენიმე საფეხურის გამოტოვება, რაც შეამცირებს მასალების ხარჯს.

ვინაიდან პროდუქტის წარმოებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია - ფასი, ჩვენს მიერ დამზადებული იქნება ახალი ტიპის გამტარი მასალები, როგორც მეტალზე დაფენილი გრაფენი და მისი წარმოებულები, ასევე იაფი, ხელმისაწვდომი პოლიმერების და გრაფენის და ელასტიური გრაფენი/პოლიმერის ბაზაზე ნანოკომპოზიტები და მათ ფუძეზე სუპერკონდენსატორები.

1.2. კვლევის მიზნები და ამოცანები

(აღწერეთ კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის ეტაპები და შესასრულებელი სამუშაოები მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400)

მაღალი ტევადობის კონდენსატორებში გამოყენებული ძვირადღირებული მასალები, როგორებიცაა ნახშირბადის ნანომილები, გრაფენის მონოფენა, მაღალი ხარისხის აქტივირებული ნახშირბადი ჩანაცვლებული იქნება ალდგენილი გრაფენის ოქსიდით, რომელიც საგრძნობლად აუმჯობესებს პოლიმერული კომპოზიტის მექანიკურ თვისებებს. გრაფენის ოქსიდის მიღება განხორციელდება ინტერკალაციის მეთოდით, რომელსაც მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია (დრო, ფასი, ნაკლები რეაქტივი) სხვა ცნობილ ჰამმერსის, ჰამმერსის მოდიფიცირებული, სტეინდმეიერის და სხვ. მეთოდებთან შედარებით.

ჩვენს მიერ ნანოკომპოზიტების დასამზადებლად გამოყენებული იქნება ლაბორატორიული გრანულატორი, გრანულაციის პროცესში გარანტირებულად მიიღება განსაზღვრული ზომის ნაწილაკები და ასევე უზრუნველყოფილი იქნება მათი განაწილება. გაფრქვევით გაშრობის პროცესში ნაწილაკებს შეეხება აქვთ ჰაერის უზრუნველყოფილი იქნება მათი განაწილება. გაფრქვევით გაშრობის პროცესში ნაწილაკებს შეეხება აქვთ ჰაერის ცხელ ნაკადთან, რა დროსაც ნაწილაკები ცხელდება ერთგვაროვნად და გამხსნელიც სცილდება ერთნაირად, ამავდროულად ხელს უშლის ლოკალურად გადახურებას. მიღებული გრანულების შეცხოვით 150-220°C ტემპერატურაზე მიიღება ერთგვაროვანი პოლიმერული ფირი. ამ გზით გადაწყვეტილი იქნება პოლიმერში გრაფენის სტრუქტურების ერთგვაროვანი განაწილება.

პროექტის ფარგლებში გრაფენი/პოლიმერი ნანოკომპოზიტების მოსამზადებლად სამუშაოები დაგეგმილია შემდეგნაირად:

1. პრეკურსორების, გრაფენის და მისი წარმოებულების სინთეზი

აქტივობა 1. ექსპერიმენტების დაგეგმვა და სამუშაოების განაწილება. ნივთიერებების გასუფთავება. გრაფიკული მოდელის შექმნა. ოპტიკური მეთოდებით გრაფენის დეტექტირების მიდგომების უახლესი ლიტერატურული მონაცემების დამუშავება; გრაფენის ფუძეზე პოლიმერული ნანოკომპოზიტების მიღების პროცესების მოდელირება და სიმულაცია.

აქტივობა 2. გრაფენის ოქსიდის მიღება ინტერკალაციის და ჰამერსის გაუმჯობესებული მეთოდებით. გრაფენის ოქსიდის აღდგენა მიკროტალღურ ღუმელში, ქიმიური რეაგენტებით (ჰიდრაზინით, ლიმონ-მჟავით, სპირტით), ულტრაბერითი დამუშავებით. კიდურა ამინო ჯგუფების მქონე პოლიდიმეთილსილოქსანის ($M_w = 25\ 000, 30\ 000$) რეაქცია 2-იზოციანოეთილ მეტაკრილატთან, ფოტოინიციატორის დამატება და უი დასხივებით გაკერვა.

აქტივობა 3. აღდგენილი გრაფენის ოქსიდის გაყდენთვა პოლიმერში ფიზიკურად შერევის მეთოდით, პოლიმერზე გრაფენის და მისი წარმოებულების დაფენა თერმული გზით.

აქტივობა 4. მიღებული მასალების კვლევა და ანალიზი: XRD, რამან, იწ და უი სპექტრული მეთოდებით, ელექტრონული მიკროსკოპი. 1-ლი ამოცანის შესრულებისას მიღებული ნიმუშების ოპტიკური თვისებების შესწავლა, გამოკვლევა და დოკუმენტირება, სპექტრალური ანალიზი, პოლარიზაციული თვისებების შესწავლა.

2. გრაფენი/პოლიდიმეთილსილოქსანის ბაზაზე ელექტროდის მასალების დამზადება

აქტივობა 1. პოლიმეთილჰიდრიდსილოქსანის ჰიდროსილილირების რეაქციები ალილაკრილატთან, ალილგლიციდილის ეთერთან და ვინილტრიეთოქსისილანთან Pt-ის კატალიზატორის თანაობით გამხსნელის არეში. პოლიმერების იდენტიფიცირება სპექტრული მეთოდებით.

აქტივობა 2. ჰიდროსილილირების რეაქციებით სინთეზირებული პოლიმერში გრაფენის და მისი წარმოებულების გაყდენთვა და ფუნქციონალიზაცია. კომპოზიტის გასუფთავება (გამხსნელის მოცილება) და გაკერვა.

აქტივობა 3. მიღებული მასალების სტრუქტურის და მორფოლოგიის შესწავლა, XRD, რამან, იწ და უი სპექტრული მეთოდებით, ელექტრონული მიკროსკოპით, დიფერენციალურ სკანირებადი კოლორიმეტრით (DSC), თერმოგრაფიმეტრიული ანალიზით (TGA).

აქტივობა 4. ელექტროდებისთვის საკვლევი ნივთიერებების ოპტიკური თვისებების შესწავლა ფართო სპექტრალურ (ულტრაიისფერ და მაღალ) დიაპაზონში (180-4100 ნმ), ინფრაწითელ და ხილულ დიაპაზონში; ფორმირებული ელექტროდებისთვის კონტაქტების შექმნა და სადენებთან დაკავშირება; ტევადობის განსაზღვრა; დამუხტვა-განმუხტვის დრო და ციკლური სტაბილურობის შესწავლა.

აქტივობა 5. ტრენინგი/სემინარი

3. გრაფენი/თერმოპლასტური პოლიმერების ბაზაზე ელექტროდის მასალების დამზადება აქტივობა 1.

თერმოპლასტური პოლიმერების (პოლიპროპილენი, აკრილონიტრილბუტადიენ სტიროლი და სხვ.) ფხვნილების და გრაფენის ოქსიდის სუსპენზიების (წყალში) შერევა გაფრქვევით გაშრობის მეთოდით და სხვადასხვა ზომის გრანულების მიღება ლაბორატორიული გრანულატორის SD-1000-ის გამოყენებით. მიღებული გრანულების შეცხოვა მოხდება ცხელი დაწნეხვის მეთოდით, მიღებული პოლიმერული ფირფიტების ზედაპირების დამუშავებით კი გრაფენის ოქსიდის აღდგენა.

აქტივობა 2. თერმოპლასტური პოლიმერების ფირფიტებზე სხვადასხვა სისქის გრაფენის ოქსიდის დაფენა. მიღებული მასალების სტრუქტურის და მორფოლოგიის შესწავლა, XRD, რამან, იწ და უი სპექტრული მეთოდებით, ელექტრონული მიკროსკოპით, დიფერენციალურ სკანირებადი კოლორიმეტრით (DSC), თერმოგრაფიმეტრიული ანალიზით (TGA).

აქტივობა 3. დიფუზიურ-აქტივაციური პროცესების შესწავლა - ორიგინალურ იმპულსური ფოტონური დასხივების დანადგარებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც ხანმოკლე (0.1 წმ და მეტი) იმპულსურ ასევე ხანგრძლივ (უწყვეტი) ფოტონურ ზემოქმედებას; ელექტროდებისთვის საკვლევი ნივთიერებების ოპტიკური თვისებების შესწავლა ფართო სპექტრალურ (ულტრაიისფერ და მაღალ) დიაპაზონში (180-4100 ნმ), ინფრაწითელ და ხილულ დიაპაზონში;

აქტივობა 4. ფორმირებული ელექტროდებისთვის კონტაქტების შექმნა და სადენებთან დაკავშირება; ტევადობის განსაზღვრა; დანაკარგის და ციკლური სტაბილურობის შესწავლა. ნიმუშების ოპტიკური-ელექტრონული ტესტირების კომპლექსური სტენდის/ების დიზაინი/დამზადება, მათი დამზადების შედეგების კონტროლის მიზნით. სტენდის ტესტირება, მისი გამოყენების ინსტრუქციების შემუშავება და შექმნა.

აქტივობა 5. პროექტის ფარგლებში დამუშავებული მეთოდების საშუალებით მიღებული ელექტროდის მასალებისგან სუპერკონდენსატორის ლაბორატორიული პროტოტიპების დამზადება.

1.3. კვლევის მეთოდოლოგია

(წარმოადგინეთ დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგია, მიდგომები და შეზღუდვები და მათი შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400)




პროექტის მიზნიდან გამომდინარე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად გამოყენებული იქნება როგორც ინოვაციური მიდგომები, ასევე პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდები.

წინასწარი სამუშაოების ეტაპზე სინთეზის ჯგუფმა წარმატებით აითვისა გრაფენის ოქსიდის მიღების მეთოდები (ჰამმერსის მეთოდი, ჰამმერსის გაუმჯობესებული და ინტერკალაციის მეთოდები). ჩვენს მიერ ნაწილობრივ შეცვლილ იქნა ლიტერატურაში არსებული მეთოდი, რაც მდგომარეობს გრაფიტის დაფქვაში მყარი დამაჩენველი კომპონენტებით და შემდგომ მიღებული ფხვნილების დამუშავება შემავსებელი წყალხსნარებით. ეს მეთოდი არ მოითხოვს აგრესიულ ქიმიურ რეაგენტებს და ეკოლოგიურად უფრო მისაღებია. ასევე გრაფენის ოქსიდის მისაღებად გამოყენებული იქნება სპირტები და ორგანული გამხსნელები. აღდგენილი გრაფენის ოქსიდის მისაღებად გამოყენებული იქნება ჰიდრაზინი, ლიმონმჟავა, ნატრიუმის ბორჰიდრიდი, ასევე KOH-ის წყალხსნარში დისპერგირებული გრაფენის ოქსიდის აღდგენა განხორციელდება მიკროტალღურ ღუმელში, რადროსაც მიიღება ფორები 1-10 ნმ ზომით. მიღებული გრაფენის ოქსიდის იდენტიფიცირება და მორფოლოგიის შესწავლა განხორციელდება რენდგენოგრაფიით (DRON-3M), ელექტრონული (Zeiss EVO50) მიკროსკოპით, რამან, იწ (VARIAN 660-IR) და უი (DU-8600R) სპექტრული მეთოდებით, ლაზერული ნაწომზომით (Analysette 12 Dynasizer). აქვე აღვნიშნავთ, რომ სხვადასხვა მეთოდით მიღებულ გრაფენის ოქსიდებს გააჩნიათ განსხვავებული C:O თანაფარდობა და სტრუქტურა. გრაფენი/პოლიმერული ნანოკომპოზიტების მიღება განხორციელდება 2 მიმართულებით:

I მიმართულება მოიცავს სასურველი, მოქნილი სტრუქტურის მქონე ფოტოპოლიმერების სინთეზს, ამისათვის გამოყენებული იქნება სხვადასხვა მოლეკულური მასის მქონე ($M_w = 25\ 000, 30\ 000$) პოლიდიმეთილსილოქსანი კიდურა ამინო ჯგუფებით და ჰიდროსილილირების რეაქციებით Pt-ის კატალიზატორის გამოყენებით 70°C -ზე პოლიდიმეთილსილოქსანის სინთეზი გვერდითა აკრილო, ეპოქსი და ეთოქსი ჯგუფებით. ამ მეთოდების გამოყენებით მიიღება გამჭვირვალე პოლიმერული ფირები, რომელთა „გაკერვის“ პროცესები განხორციელდება როგორც უი სხივებით, ასევე თერმულად. გრაფენი/პოლიმერული ნანოკომპოზიტების მიღება განხორციელდება *in situ* პოლიმერიზაციის და ხსნარების გადარევის (ნაწილისქვილი Pulverisette 7 premium line) მეთოდებით. პოლიმერების სტრუქტურის და მორფოლოგიის შესწავლა განხორციელდება ბმრ კვლევის მეთოდებით, დიფერენციალურ სკანირებადი კოლორიმეტრით (DSC), თერმოგრაფიმეტრიული ანალიზით (TGA).



II მიმართულება მოიცავს თერმოპლასტური პოლიმერების ფხვნილების და გრაფენის ოქსიდის სუსპენზიის (წყალში) შერევას გაფქვევით გაშრობის მეთოდით და სხვადასხვა ზომის გრანულების მიღება ლაბორატორიული გრანულატორის SD-1000-ის გამოყენებით, რითიც უზრუნველყოფილი იქნება ჰომოგენიზაცია. მიღებული გრანულების შეცხოება მოხდება ცხელი დაწნხვის მეთოდით, მიღებული პოლიმერული ფირების ზედაპირების დამუშავებით კი გრაფენის ოქსიდის აღდგენა. დენის კოლექტორად გამოყენებული იქნება Al, Ni და სხვ.

ჩვენს მიერ დამზადებული ელექტროდის მასალებისათვის განხორციელდება როგორც სტრუქტურულ-მორფოლოგიური კვლევა, ასევე ელექტრული თვისებების შესწავლა, მექანიკური თვისებების, ტევადობის, დანაკარგების და ციკლური სტაბილურობის განსაზღვრა.

 1. სუპერკონდენსატორში ველის განაწილება და მისი იდეალური ექვივალენტური სქემა	 2. კომპლექსური წინაღობის გაზომვის სქემატური ნახაზი. Agilent 4294A_ს გამოყენებით.	 3. კომპლექსური წინაღობის სიხშირეზე დამოკიდებულების გრაფიკი, სხვა და სხვა R_s-ის შემთხვევაში. $R_s = R_{s1} + R_{s2} + R_{ion} = R_1 + R_2$ (სურ 1, 2.)
--	---	--

ნახ.1 კომპლექსური წინაღობის(იმპედანსის) გაზომვი მოწყობილობა და მოსალოდნელი შედეგები(მოდელირება).

ნახ.1_ზე განმარტებულია კომპლექსური წინაღობის (იმპედანსის) გაზომვის შედეგად R_s -ის გამოთვლის შესაძლებლობა. ასევე შესაძლებელია რეზონანსის დაბლა ანათვლით გამოვთვალოთ მისი ჯამური ტევადობა $Z_c = 1/wC$ ($Z_{ჯამური} = R_s + j(wL_p - \frac{1}{wC})$ სადაც, $R_s = R_{s1} + R_{s2} + R_{ion}$ ნახ.1,სურ1.) ფორმულით, რადგან ამ სიხშირულ დიაპაზონში $L_p = L_1 + L_2$ მიმყვანი მავთულების და R_s წინაღობის გავლენა შეიძლება უგულვებელვყოთ. რეზონანსის ზევით კი მარტივად გამოვითვლით L_p -ს. ამავე დროს Agilent 4294A საშუალებას გვაძლევს პირდაპირ გავზომოთ C_s, R_s და L_s, R_s ჯამური პარამეტრების სიხშირეზე დამოკიდებულება, რაც კონდენსატორის სრული მოდელის დაზუსტებაში დაგვეხმარება.

 1. ციკლირების (პერიოდული დამუხტვა-განმუხტვის) მოწყობილობის სქემატური ნახაზი.	 2. ცისფერი გრაფიკი აჩვენებს გენერატორიდან გამოსულ ძაბვას, წითელი გრაფიკი კონდენსატორზე გაზომილი ძაბვის ფორმას, ხოლო მწვანე დენის ცვლილების ფორმას.
---	--

ნახ. 2 ციკლირების (პერიოდული დამუხტვა-განმუხტვის) მოწყობილობის სქემატური ნახაზი და მოსალოდნელი შედეგები (მოდელირება).

ნახ. 2_ზე მოცემულია ციკლური სტაბილურობის საკვლევი ლაბორატორიული დანადგარის სქემატური ნახაზი. ამ დანადგარის საშუალებით შესაძლოა, კონდენსატორის გაჟონვის წინაღობის R_{Leak} , გაჟონვის დენის და ექსპლუატაციის პერიოდში დეგრადირების ხარისხის განსაზღვრა. მაგალითად, დენის ცვლილების ამპლიტუდის სიდიდე დამოკიდებულია კონდენსატორის ტევადობაზე, მისი მუდმივი მდგენელი კი მთლიანად განპირობებულია გაჟონვის წინაღობით. ეს უკანასკნელი დენის და ძაბვის ცვლილების ფორმაზეც მოქმედებს.

ახე რომ გაზომვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ვიმსჯელოთ მოცემული ნიმუშის ელექტრულ მახასიათებლებზე (ტევადობა, დანაკარგები, პარაზიტული ინდუქტივობა) და შესაბამისად მის ხარისხზე (მსოფლიოში არსებულ ნიმუშებთან შედარებით). რაც აუცილებელი პირობაა საცდელი ნიმუშების პარამეტრების დასახვეწად და კვლევის შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვისათვის.

1.4. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა და გავრცელების (დისემინაციის) გეგმა

(შემოთავაზებული კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება ქვეყნისთვის, რეგიონისთვის, დარგისათვის; ასევე შედეგების გამოყენების შესაძლებლობები, პროექტის დასრულების შემდეგ დაწყებული საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივა. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400)

მსოფლიოში მაღალი ტევადობის კონდენსატორების ბაზარზე სავარაუდოდ ყველაზე მსხვილი მომხმარებელი, სატრანსპორტო საშუალებებია. ამას მოწმობს გაზრდილი მოთხოვნილება მათ გამოყენებაზე მატარებლებში, ავტომობილებში, ჰიბრიდულ ავტობუსებში, ამწეებსა და სატვირთო მანქანებში, რადგან მაღალი ტევადობის კონდენსატორები უზრუნველყოფენ საწვავის წვის ეფექტურობას, სიმძლავრის სტაბილიზაციას, მანქანის უკეთეს მუშაობას, ნახშირბადის ოქსიდის გამოყოფის შემცირებას, გამძლეობას.

დღეისათვის მაღალი ტევადობის კონდენსატორებში გამოყენებული ძვირადღირებული მასალები, როგორებიცაა ნახშირბადის ნანომილები, გრაფენის მონოფენა, მაღალი ხარისხის აქტივირებული ნახშირბადი ჩანაცვლებული იქნება ადდგენილი გრაფენის ოქსიდით. რომელიც საგრძნობლად აღმჯობესებს პოლიმერული კომპოზიტის მექანიკურ თვისებებს. გრაფენის ოქსიდის მიღება განხორციელდება ინტერკალაციის მეთოდით, რომელსაც მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია (დრო, ფასი, ნაკლები რეაქტივი) სხვა ცნობილ ჰამმერსის, ჰამმერსის მოდიფიცირებული, სტეინდმეიერის და სხვ. მეთოდებთან შედარებით.

ნანოკომპოზიტების დასამზადებლად გამოყენებული იქნება გაფრქვევით გაშრობა (გრანულაცია) მეთოდი, შესაბამის წნევასა და ტემპერატურაზე, რაც გააიფხვებს საბოლოო პროდუქტის თვითღირებულებას.

ამჟამად საქართველოში მსგავსი პროდუქცია არ იწარმოება. ერთერთ ადგილობრივ მომხმარებელს წარმოადგენს სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ და შპს „დელტა ინტერნეიშენალ“, რომლის დაქვემდებარებაშია ექვსი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და თბილისის საავიაციო ქარხანა. ცენტრის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე სპეციალური დანიშნულების ტექნიკის და დაკვირვების და აღმოჩენის ოპტიკურ-ელექტრონული სისტემების დაპროექტება, შექმნა და სერიული წარმოება.

1. Xiaoyan Zhang, Paolo Samor. Graphene/Polymer Nanocomposites for Supercapacitors . ChemNanoMat, 6, 362-372, 2017;
2. Zheng Q., Kim J. K. Graphene for transparent conductors, synthesis, properties and applications, 2015, XVI, 220 p. 124 illus. In color., Hardcover. ISBN: 978-1-4939-2768-5;
3. Jixin Zhu, Dan Yang, Zongyou Yin, Qingyu Yan, Hua Zhang. Graphene and Graphene-Based Materials for Energy Storage Applications. Small 10 (17), 3480-3498, 2014;
4. Guoping Wang, Lei Zhang, JiuJun Zhang. A review of electrode materials for electrochemical supercapacitors. Chem. Soc. Rev., 2012, 41, 797-828;
5. O. Mukbaniani, J. Aneli, I. Esartia, T. Tatrishvili, E. Markarashvili, N. Jalagonia. "Siloxane Oligomers with Epoxy Pendant Groups". Macromolec. Symposia, Special issue Polychar-20 World Forum on Advanced Materials, 328 (1), 25-37, 2013.

2. პროექტის შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი

2.1. პროექტის ხელმძღვანელის მიღწევების, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა კვლევით პროექტთან

(აღწერეთ პროექტის ხელმძღვანელის სამეცნიერო მიღწევები, გამოცდილება, კვალიფიკაცია კვლევითი თემატიკის მიმართულებით; წარმოადგინეთ პროექტის ხელმძღვანელის მონაწილეობით ბოლო 3 წლის

განმავლობაში განხორციელებული და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტ(ებ)ის რეზიუმე; სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 600)

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხმიანება სამეცნიერო ხელმძღვანელის დისერტაციის თემას: „მყარი პოლიმერ-ელექტროლიტების მიღება სავარცხლისებური აღნაგობის სილოქსანური მატრიცების ბაზაზე“. დისერტაციის მასალები გამოქვეყნებულია 18 პუბლიკაციის სახით, მათ შორის 6 სამეცნიერო სტატია, აქედან 4 იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში, 2 კრებულში წიგნის თავების სახით, 10 საერთაშორისო საკონფერენციო თეზისების სახით. მას გააჩნია გამოცდილება პოლიმერების სინთეზში, ლითიუმის სხვადასხვა მარილების დოპირებით მყარი პოლიმერ-ელექტროლიტების დამზადებაში, ნანოკომპოზიტების მომზადებაში და ასევე მონაწილეობას ღებულობს მიღებული მასალების სტრუქტურულ-მორფოლოგიურ კვლევასა და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების შესწავლაში. მისი მონაწილეობით სულ გამოქვეყნებულია 27 სამეცნიერო ნაშრომი და მონაწილეობა მიღებული აქვს 20-ზე მეტ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში. ამჟამად ჩართულია როგორც ამოცანების მენეჯერი ევროპული კომისიის მიერ დაფინანსებულ მიმდინარე პროექტში „გრაფენი 3D“, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება როგორც ფოტოპოლიმერების სინთეზი, ასევე გრაფენი/პოლიმერის ფუძეზე ნანოკომპოზიტების მომზადება 3D პრინტერებისათვის.

1. Horizon2020 №734164 მარია-სკლადოვსკაია კიურის კვლევისა და ინოვაციის გაცვლითი გრანტი, “მძლავრი ელექტრომაგნიტური და თერმული თვისებების მქონე მრავალფუნქციური ნანოკომპოზიტები გრაფენის ფუძეზე 3D ბეჭდვისათვის”, გრაფენი 3D, 2017-2020 წწ (ამოცანების მენეჯერი).
2. STCU/34/6-480/15 „გრაფენის სტრუქტურის შემცველი ჰიბრიდული კერამიკული კომპოზიტები ალუმინის ოქსიდის ფუძეზე“, 2016-2018წწ. (მკვლევარი);
3. AR/325/6-480/12 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, “ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ულტრადისპერსული ალუმინის ოქსიდის მიღება და კორუნდის კერამიკული ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგიის დამუშავება”, 2013-2015 წწ. (მკვლევარი);

